№2730 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

**სს „სილქნეტისთვის“ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ $27^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატელეფონო კომუნიკაციის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის, სს „სილქნეტს“ (ს/კ: 204566978) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბანში მდებარე 17,5 კვ.მ მიწის ფართობით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის (ხე-მცენარეების ჭრის უფლების გარეშე) ვადა განესაზღვროს 20 (ოცი) წლამდე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**